

შპს დაჩი-98

შპს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

და აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შპს დაჩი-98

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ----- 3

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----6

მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება -----7

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება -----8

ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -----10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს დაჩი 98-ის მენეჯმენტსა და მესაკუთრეებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს დაჩი 98-ის (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - პირობითი მოსაზრების საფუძველი - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც მოცემულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში, მარაგების საბალანსო ღირებულება 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 4,212,457 და 3,942,867 ლარს. კომპანიას არ ჩაუტარებია მარაგების ინვენტარიზაცია 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მარაგების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულების მოპოვება ზემოაღნიშნულ თარიღში მარაგების რაოდენობასა და მდგომარეობაზე. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირების შეტანა მარაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა შესაბამის ელემენტებთან მიმართებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე

მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ან ნებაყოფლობით, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი, რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4,

თბილისი 0186, საქართველო

1 აგვისტო, 2025 წელი

მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ან ნებაყოფლობით, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:



ლევან პაპიაშვილი, რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4,

თბილისი 0186, საქართველო

1 აგვისტო, 2025 წელი

შპს დაჩი-98

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	5,425,514	5,686,679
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,425,514	5,686,679
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	4,212,457	3,942,867
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,280,494	1,595,550
საგადასახადო აქტივი	10	79,633	6,757
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	620,474	861,434
სულ მიმდინარე აქტივები		6,193,058	6,406,608
სულ აქტივები		11,618,572	12,093,287
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრეთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		48,400	48,400
გაუნაწილებელი მოგება		8,524,784	8,606,078
სულ კაპიტალი		8,573,184	8,654,478
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	8	1,789,307	1,814,115
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,789,307	1,814,115
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	8	359,865	729,466
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	896,216	895,228
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,256,081	1,624,694
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები		11,618,572	12,093,287

თეიმურაზ ვედიაშვილი,
დირექტორი
1 აგვისტო, 2025

ტარიელ სოხაძე,
დირექტორი
1 აგვისტო, 2025

ლელა ჯაღმაიძე,
მთ. ბუღალტერი
1 აგვისტო, 2025

შპს დაჩი-98

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	5,425,514	5,686,679
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>5,425,514</u>	<u>5,686,679</u>
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	4,212,457	3,942,867
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,280,494	1,595,550
საგადასახადო აქტივი	10	79,633	6,757
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	620,474	861,434
სულ მიმდინარე აქტივები		<u>6,193,058</u>	<u>6,406,608</u>
სულ აქტივები		<u><u>11,618,572</u></u>	<u><u>12,093,287</u></u>
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრეთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		48,400	48,400
გაუნაწილებელი მოგება		8,524,784	8,606,078
სულ კაპიტალი		<u>8,573,184</u>	<u>8,654,478</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	8	1,789,307	1,814,115
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>1,789,307</u>	<u>1,814,115</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	8	359,865	729,466
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	896,216	895,228
სულ მიმდინარე ვალდებულებები		<u>1,256,081</u>	<u>1,624,694</u>
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები		<u><u>11,618,572</u></u>	<u><u>12,093,287</u></u>



თეიმურაზ ვედიშვილი,
დირექტორი
1 აგვისტო, 2025

ტარიელ სოხაძე,
დირექტორი
1 აგვისტო, 2025

ლელა ჯაღმაიძე,
მთ. ბუღალტერი
1 აგვისტო, 2025

შპს დაჩი-98

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	11	9,509,343	9,082,985
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	12	(7,192,830)	(6,730,289)
საერთო მოგება		2,316,513	2,352,696
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(935,459)	(1,119,328)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	14	(147,994)	(143,146)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		1,233,060	1,090,222
ფინანსური შემოსავალი	15	16,051	9,481
ფინანსური ხარჯი	15	(224,206)	(120,986)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	18	15,128	(37,755)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	16	5,495	297,398
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	17	(1,397)	(2,561)
მოგება დაბეგვრამდე		1,044,131	1,235,799
მოგების გადასახადი		(168,814)	(131,346)
წლის მოგება		875,317	1,104,453
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		875,317	1,104,453

თეიმურაზ ვედიაშვილი,
დირექტორი
1 აგვისტო, 2025


ტარიელ სოხაძე,
დირექტორი
1 აგვისტო, 2025

ლელა ჯაღმაიძე,
მთ. ბუღალტერი
1 აგვისტო, 2025

შპს დაჩი-98

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	11	9,509,343	9,082,985
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	12	(7,192,830)	(6,730,289)
საერთო მოგება		<u>2,316,513</u>	<u>2,352,696</u>
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(935,459)	(1,119,328)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	14	(147,994)	(143,146)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		<u>1,233,060</u>	<u>1,090,222</u>
ფინანსური შემოსავალი	15	16,051	9,481
ფინანსური ხარჯი	15	(224,206)	(120,986)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	18	15,128	(37,755)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	16	5,495	297,398
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	17	(1,397)	(2,561)
მოგება დაბეგვრამდე		<u>1,044,131</u>	<u>1,235,799</u>
მოგების გადასახადი		<u>(168,814)</u>	<u>(131,346)</u>
წლის მოგება		<u>875,317</u>	<u>1,104,453</u>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		<u>875,317</u>	<u>1,104,453</u>



თეიმურაზ ვედიშვილი,
დირექტორი
1 აგვისტო, 2025

ტარიელ სოხაძე,
დირექტორი
1 აგვისტო, 2025

ლელა ჯალაღიძე,
მთ. ბუღალტერი
1 აგვისტო, 2025

შპს დაჩი-98

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	პარტნიორთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ
1 იანვარი, 2023	48,400	8,245,183	8,293,583
წლის მოგება	-	1,104,453	1,104,453
წლის სრული შემოსავალი	-	1,104,453	1,104,453
დივიდენდის განაწილება	-	(743,558)	(743,558)
ოპერაციები მთლობელებთან	-	(743,558)	(743,558)
31 დეკემბერი, 2023	48,400	8,606,078	8,654,478
წლის მოგება	-	875,317	875,317
წლის სრული შემოსავალი	-	875,317	875,317
დივიდენდის განაწილება	-	(956,611)	(956,611)
ოპერაციები მთლობელებთან	-	(956,611)	(956,611)
31 დეკემბერი, 2024	48,400	8,524,784	8,573,184

თეიმურაზ ვედიაშვილი,
დირექტორი
1 აგვისტო, 2025


ტარიელ სოხაძე,
დირექტორი
1 აგვისტო, 2025

ლელა ჯაღმაიძე,
მთ. ბუღალტერი
1 აგვისტო, 2025

შპს დაჩი-98

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	პარტნიორთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ
1 იანვარი, 2023	48,400	8,245,183	8,293,583
წლის მოგება	-	1,104,453	1,104,453
წლის სრული შემოსავალი	-	1,104,453	1,104,453
დივიდენდის განაწილება	-	(743,558)	(743,558)
ოპერაციები მთლობელებთან	-	(743,558)	(743,558)
31 დეკემბერი, 2023	48,400	8,606,078	8,654,478
წლის მოგება	-	875,317	875,317
წლის სრული შემოსავალი	-	875,317	875,317
დივიდენდის განაწილება	-	(956,611)	(956,611)
ოპერაციები მთლობელებთან	-	(956,611)	(956,611)
31 დეკემბერი, 2024	48,400	8,524,784	8,573,184



თეიმურაზ ვედიშვილი,
დირექტორი
1 აგვისტო, 2025

ტარიელ სოხაძე,
დირექტორი
1 აგვისტო, 2025

ლელა ჯაღმაიძე,
მთ. ბუღალტერი
1 აგვისტო, 2025

შპს დაჩი-98

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე		1,044,131	1,235,799
არაფულადი კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	4	690,907	535,879
მარაგების გაუფასურება	5	16,908	15,924
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	6	71,624	103,763
ფინანსური ხარჯი	15	224,206	120,986
ფინანსური შემოსავალი	15	(16,051)	(9,481)
საკურსო სხვაობებით გამოწვეული მოგება/(ზარალი)	18	(15,128)	37,755
საოპერაციო მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		2,016,597	2,040,625
ცვლილებები მარაგებში	5	(286,498)	152,429
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	6	255,693	194,034
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	9	21,839	451,227
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში/აქტივში	10	(70,900)	(9,631)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,936,731	2,828,684
გადახდილი პროცენტი	8	(225,170)	(119,105)
გადახდილი მოგების გადასახადი		(168,814)	(131,346)
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,542,747	2,578,233
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(429,742)	(2,303,138)
მიღებული პროცენტი		16,051	9,481
ნეტო ფულადი ნაკადები, გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(413,691)	(2,293,657)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(956,611)	(743,558)
სესხის აღება	8	400,000	1,386,300
სესხის ძირის გადახდა	8	(793,445)	(607,776)
ნეტო ფულადი ნაკადები, გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		(1,350,056)	34,966
ფულისა და ფულის ექვივალენტების ნეტო ზრდა		(221,001)	319,541
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(19,959)	(37,755)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		861,434	579,649
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	7	620,474	861,434

თეიმურაზ ვედიაშვილი,
დირექტორი
1 აგვისტო, 2025

ტარიელ სოხაძე,
დირექტორი
1 აგვისტო, 2025

ლელა ჯაღმაძე,
მთ. ბუღალტერი
1 აგვისტო, 2025

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „დაჩი-98“ დაფუძნდა 1998 წლის 26 აგვისტოს. მისი სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და საიდენტიფიკაციო ნომერია: 200043265.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ვ. ნინუას ქ. N 3.

შპს დაჩი-98-ის დამფუძნებლები და ამავდროულად დირექტორები არიან:

ტარიელ სოხაძე (პ/ნ 01023002221) – 50%

თეიმურაზ ვედიშვილი (პ/ნ 01030002912) – 50%

საზოგადოების ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს თერმო ჩაჩების, ლამინირებული ჩაჩების, ცქრილა ღვინოების მიუზლის, ღვინისა და კონიაკის საცობების წარმოება-რეალიზაცია. ასევე კომპანია ეწევა ალუმინის საცობების რეალიზაციას. მისი პროდუქტებია: კორპები, საცობები, კონტეინერების თავსახურები და სხვა სახის ხუფები (მიუზლი, ლენტა, ალუმინის საცობი, ჩაჩი).

დარეგისტრირებული ფილიალები არ აქვს.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2023	31 დეკ 2024
1 USD/GEL	2.6894	2,8068
1 EUR/GEL	2.9753	2,9306

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკის და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს—ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალლო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალლო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების ან აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს ისეთ მონაცემებს, რომლებიც აქტივის მფლობელისთვის გახდება ცნობილი გაუფასურების გამომწვევი შემდეგი მოვლენების შესახებ:

(ა) მევალის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები;

(ბ) ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მაგალითად, ვადაგადაცილება;

(გ) როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ექვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
-------	--------------------------------

შენობა-ნაგებობები	40 წელი
მანქანა-დანადგარები	5-12 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5-12 წელი
ავეჯი და ინვენტარი	3-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-8 წელი

მიწას ცვეთა არ ერიცხება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს ფოლგას, კორპის საცობებს და საღებავებს. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება გრძელვადიანი აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

კომპანიის საოპერაციო შემოსავალს შეადგენს თერმო ჩაჩების, ლამინირებული ჩაჩების, ცქრიალა ღვინოების მიუზლის, ღვინისა და კონიაკის საცობების რეალიზაცია. ასევე ალუმინის საცობების რეალიზაციას.

ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება მისი ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება შესაბამის მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. ფინანსური იჯარის დროს აქტივის და შესაბამისი ვალდებულების საბალანსო თანხა განსაზღვრულია მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშებისას დისკონტირების ფაქტორის გათვალისწინება ნიშნავს: საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას, თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შესაძლებელია, ხოლო თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია - ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას.

ფინანსური იჯარა ფინანსურ ხარჯებთან ერთად წარმოშობს აქტივის ცვეთის ხარჯებს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივების მიმართ კომპანიის მიერ გატარებული ცვეთის პოლიტიკა შეესაბამება საკუთარი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ

ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

გ) მარაგები

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს

შპს დაჩი-98

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

შპს დაჩი-98

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა - ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	სულ
ისტორიული ღირებულება 01.01.2023	1,026,447	221,504	4,907,196	45,693	12,979	219,713	6,433,532
შემოსვლა	-	102,344	2,135,216	10,952	1,187	68,761	2,318,460
გასვლა	-	(15,322)	-	-	-	-	(15,322)
ისტორიული ღირებულება 31.12.2023	1,026,447	308,526	7,042,412	56,645	14,166	288,474	8,736,670
შემოსვლა	232,507	185,888	3,508	7,839	-	-	429,742
ისტორიული ღირებულება 31.12.2024	1,258,954	494,414	7,045,920	64,484	14,166	288,474	9,166,412
დაგროვილი ცვეთა							
დაგროვილი ცვეთა 01.01.2023	-	(71,388)	(2,310,893)	(28,201)	(6,281)	(97,349)	(2,514,112)
ცვეთა	-	(5,463)	(494,134)	(8,103)	(2,358)	(25,821)	(535,879)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	-	(76,851)	(2,805,027)	(36,304)	(8,639)	(123,170)	(3,049,991)
ცვეთა	-	(8,682)	(639,774)	(9,037)	(2,226)	(31,188)	(690,907)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2024	-	(85,533)	(3,444,801)	(45,341)	(10,865)	(154,358)	(3,740,898)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ნაშთი 31.12.2023	1,026,447	231,675	4,237,385	20,341	5,527	165,304	5,686,679
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ნაშთი 31.12.2024	1,258,954	408,881	3,601,119	19,143	3,301	134,116	5,425,514

შენიშვნა: კომერციული ბანკის სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფას წარმოადგენს მიწის ნაკვეთები, მასზე მდებარე საწარმოო შენობა-ნაგებობებით.

შენობის გაიჯარებული ნაწილი: საკუთარი შენობიდან კომპანია იჯარით გასცემს 46 კვ.მ. ფართს, თუმცა აღნიშნული შემოსავალი მთლიან შემოსავალში 0,1%-საც არ შეადგენს. კომპანია არ მიიჩნევს აღნიშნულ საქმიანობას არც ძირითად და არც მნიშვნელოვან საქმიანობად და არსებითობის პრინციპზე დაყრდნობით კომპანია არ ახდენს ამ ნაწილის საინვესტიციო ქონებად წარდგენას.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღრიცხულია გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებასა და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში, შესაბამისად, 639,774 ლარის და 51,133 ლარის ოდენობით.

შპს დაჩი-98

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

5. მარაგები

კომპანიის მარაგები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31.12.2024	31.12.2023
მზა-პროდუქცია	960,706	701,291
ნედლეული და მასალები	3,249,613	3,241,112
საწვავი	2,138	464
	4,212,457	3,942,867

მარაგების თვითღირებულება, რომლებიც აღიარდა ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში 2024 წლის პერიოდში შეადგენს 5,572,029 ლარს (2023: 5,717,017 ლარი). საანგარიშგებო პერიოდში მოხდა 16,908 ლარის ღირებულების ნელა მოძრავი მარაგის ჩამოწერა, ხოლო ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე მარაგის ჩამოწერას ადგილი არ ჰქონია.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31.12.2024	31.12.2023
მოთხოვნები ადგილობრივი მიწოდებიდან	1,138,182	1,309,596
მოთხოვნები ექსპორტით მიწოდებიდან	339,707	258,563
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	(473,778)	(402,154)
მოთხოვნები საიჯარო მომსახურებიდან	-	21,650
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	276,383	407,895
	1,280,494	1,595,550

სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი:

01.01.2023	307,280
დამატება	94,874
31.12.2023	402,154
დამატება	71,624
31.12.2024	473,778

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31.12.2024	31.12.2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	54	142
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	527,443	730,349
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	92,977	130,943
	620,474	861,434

შპს დაჩი-98

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

8. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი სესხები ეროვნულ ვალუტაში	1,789,307	1,814,115
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი (ლარი)	359,865	729,466
	2,149,172	2,543,581

ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ:

კრედიტის გამგები	საპროც. განაკვეთი	დაწყების თარიღი	დახურვის თარიღი	სესხის ძირი 31.12.2023	დარიცხული პროცენტი 31.12.2023	სესხის ძირი 31.12.2024	დარიცხული პროცენტი 31.12.2024
ლიბერტი ბანკი	13.00%	05.07.2022	01.06.2025	127,789	1,183	12,058	-
ლიბერტი ბანკი	13.00%	11.07.2022	10.01.2025	70,994	506	5,820	-
ლიბერტი ბანკი	13.30%	07.12.2022	16.12.2032	1,917,012	9,081	1,797,819	9,025
ლიბერტი ბანკი	13.34%	25.07.2024	27.07.2026	-	-	324,450	-
ლიბერტი ბანკი	9.00%	26.11.2020	25.11.2024	85,191	175	-	-
ლიბერტი ბანკი	9.00%	27.12.2019	25.12.2024	331,024	626	-	-
სულ				2,532,010	11,571	2,140,147	9,025

შენიშვნა 8.1:

კომპანიას აქვს გრძელვადიანი სესხი, რომელიც მიიღო ადგილობრივი კომერციული ბანკისგან - "სს - ლიბერტი ბანკი". მიზნობრივი თანადაფინანსება ხდება სსიპ „აწარმოე საქართველოს“-სგან. აღებული სესხის დარიცხული 3% იფარება სააგენტოს მხრიდან.

ინფორმაცია 2024 წელს აღებული/დაფარული სესხების შესახებ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,763,176
სესხის დამატება	1,386,300
ძირის გადახდა	(607,776)
პროცენტის დარიცხვა	120,986
პროცენტის დაფარვა	(119,105)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,543,581
სესხის მიღება	400,000
სესხების დაფარვა	(793,445)
პროცენტის დარიცხვა	224,206
პროცენტის დაფარვა	(225,170)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,149,172

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

შპს დაჩი-98

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

	31.12.2024	31.12.2023
ვალდებულებები უცხოელი მომწოდებლების წინაშე	753,139	763,936
ადგილობრივი შემსყიდველებისგან მიღებული ავანსები	68,985	99,437
უცხოელი შემსყიდველებისგან მიღებული ავანსები	7,054	7,054
კომუნალური და სხვა ვალდებულებები	67,038	24,801
	896,216	895,228

10. საგადასახადო ვალდებულებები / საგადასახადო აქტივი

კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია წმინდა საგადასახადო აქტივი 79,633 ლარის ოდენობით, რომელიც ძირითადად შედგება დღგ-ს ჩასათვლეელი თანხებისგან. (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წმინდა საგადასახადო აქტივი განისაზღვრა 6,757 ლარის ოდენობით).

11. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი 2024 და 2023 წლებში შედგება:

	2024	2023
შემოსავალი ადგილობრივი რეალიზაციიდან	8,604,752	7,508,065
შემოსავალი ექსპორტიდან	904,591	1,574,920
	9,509,343	9,082,985

საწარმო შემოსავალს აღიარებს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

12. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 2024 და 2023 წლებში შედგება:

	2024	2023
ძირითადი მასალების დანახარჯები	5,414,997	5,632,323
პირდაპირი ხელფასი	760,990	389,793
მანქანა-დანადგარების ცვეთის ხარჯი	639,774	494,133
რემონტის დანახარჯები	180,086	76,834
წარმოების კომუნალური ხარჯები	100,848	50,824
დამხმარე მასალების დანახარჯები	94,385	84,694
სხვა ხარჯები	1,750	1,688
	7,192,830	6,730,289

შპს დაჩი-98

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლებში შედგება:

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	609,374	740,051
მოთხოვნების გაუფასურება	71,624	103,763
სხვა საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	68,183	60,819
ცვეთის ხარჯი	51,133	41,745
კომუნიკაციის ხარჯები	36,542	29,601
საოფისე ინვენტარი	30,464	32,837
თანამშრომელთა საპენსიო ხარჯი	25,175	20,784
საკონსულტაციო ხარჯები	17,673	18,904
მარაგების გაუფასურება	16,908	15,924
სხვა ხარჯები	5,811	51,146
შენობის რემონტის ხარჯი	1,774	5
თანამშრომელთა უსაფრთხოების დაზღვევა	798	2,054
საიჯარო ქირა	-	1,695
	935,459	1,119,328

14. რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები

კომპანიის რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები 2024 და 2023 წლებში შედგება:

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	112,003	107,666
რეკლამის ხარჯები	-	568
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	150	2,450
ავტო ტრანსპორტის ხარჯი	12,874	14,832
საწვავის ხარჯი	22,967	17,630
	147,994	143,146

15. ფინანსური შემოსავალი/ხარჯი

2024 წლის ფინანსური შემოსავალი, 16,051 ლარი წარმოადგენს შემნახველ ანაბარზე დარიცხული პროცენტს.

ფინანსური ხარჯი, 224,206 ლარი არის 2024 წელს საბანკო სესხებზე დარიცხული პროცენტი.

16. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

კომპანიის სხვა არასაოპერაციო შემოსავალი 2024 და 2023 წლებში შედგება:

	2024	2023
სხვა შემოსავალი	5,495	297,398
	5,495	297,398

შპს დაჩი-98

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

2023 წლის სხვა შემოსავალი წარმოადგენს აწარმოე საქართველოს დაფინანსების ფარგლებში მიღებულ შემოსავალს.

17. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

კომპანიის სხვა არასაოპერაციო ხარჯი 2024 და 2023 წლებში შედგება:

	2024	2023
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	1,397	2,561
	1,397	2,561

18. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი

კომპანიის კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), ნეტო 2024 და 2023 წლებში შედგება:

	2024	2023
ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(19,959)	(24,826)
ეფექტი მოთხოვნებზე	12,261	5,562
ეფექტი ვალდებულებებზე	22,826	(18,491)
	15,128	(37,755)

19. ფინანსური და სხვა რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისათვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო რისკები, ამ რისკებთან დაკავშირებული კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისათვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგება კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისათვის;
- შეინარჩუნოს ფინანსური სიძლიერე ახალი ბიზნესის ზრდისა და კაპიტალის მფლობელთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანია დგას ფინანსური სირთულეების წინაშე ვალდებულებების დაფარვისას და მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთებიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური დანაკარგის რისკი, რომელიც წარმოიშობა კომპანიის შიდა პროცესების ან სისტემის არაადეკვატურობით ან ნაკლოვანებით, ან გარე მოვლენებით, რომელიც შესაძლოა მოხდეს განზრახ, მოულოდნელად ან ბუნებრივი მოვლენების შედეგად. გარე ფაქტორები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი მოვლენებით, როგორიცაა თაღლითობა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, და ა.შ.

საბაზრო მოვლენები როგორცაა დეფოლტი ან ღირებულების ცვლილებები არ მოისაზრება საოპერაციო რისკებში. საოპერაციო რისკში კომპანია მოისაზრებს ასევე შესაბამისობის რისკსაც, რომელიც გულისხმობს რომ კომპანიას შეიძლება დაეკისროს სანქციები ან გაუფუჭდეს რეპუტაცია იმ შემთხვევაში თუ მისი საქმიანობა შესაბამისობაში არ იქნება ადგილობრივ კანონმდებლობასთან.

კომპანია საოპერაციო რისკების მართვას ახორციელებს შემდეგი ღონისძიებების საფუძველზე:

- ოპერაციების მონიტორინგი და რეკონსილაცია;
- მოვალეობების ადეკვატური გადანაწილება, მათ შორის ტრანზაქციების ავტორიზაცია მიუკერძოებელი პირების მიერ;
- საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- კონტროლებისა და პროცედურების დოკუმენტირება შიდა ინსტრუქციების სახით;
- საოპერაციო რისკების პერიოდული შეფასება და მათი გასაწესებლად საჭირო კონტროლებისა და პროცედურების ადეკვატურობის ანალიზი.

შპს დაჩი-98

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

20. ფუნქციონირებადობის პრინციპი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე. კომპანიის საქმიანობას ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღიდან მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში საფრთხე არ ემუქრება.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

დივიდენდის გამოცხადება:

ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე ჯამურად დივიდენდი გამოცხადდა 317,895 ლარის ოდენობით.

22. ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

2024 წელი: 269,770 ლარი

2023 წელი: 215,561 ლარი.

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს დაჩი 98-ის დირექტორებმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცეს და მისი გამოცემის ნებართვა გასცეს 2025 წლის 1 აგვისტოს.